



შენაბავისთვის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვამტკიცებ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
ნოე ქაშიბაძე

“20“ თებერვალი“ 2019 წელი

N 27136

ეგზ: N:1

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის 2019 წლის 7 თებერვლის №001161/31 გადაწყვეტილების შესაბამისად შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ სახსრების ხარჯვის და მატერიალური ფასეულობების განკარგვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის №1/36 ანგარიშში შეტანილი ცვლილებებით

შპს „დევნილთა საოჯახო
მედიცინის ცენტრის“ სახსრების
ხარჯვის და მატერიალური
ფასეულობების განკარგვის
მოქმედ კანონმდებლობასთან
შესაბამისობის აუდიტი

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები.....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები	4
შესავალი	9
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	9
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	9
აუდიტის საგანი.....	10
აუდიტის მასშტაბი	10
გამოყენებული კრიტერიუმები	10
აუდიტის მიზანი	11
აუდიტის მეთოდოლოგია.....	11
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ.....	12
აუდიტის მიგნებები.....	15
საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას	15
რეინვესტირებულ თანხებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები.....	15
უნებართვოდ გაფორმებული ხელშეკრულებები	17
ხელფასების დარიცხვა-გაცემისას გამოვლენილი ნაკლოვანებები	18
ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების ნაკლოვანებები.....	19
საშემოსავლო გადასახადის არასწორი გაანგარიშებით გაცემული ხელფასები	19
ფინანსური ანგარიშგების ფორმების ნაკლოვანებები.....	20
სასამართლო დავები	21
უძრავი ქონების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები	21
არასრულად წარმოებული სამედიცინო დოკუმენტები	22
სახელმწიფო შესყიდვების ნაკლოვანებები	25
წინა აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.....	27
სხვა დარღვევა-ნაკლოვანებები	28
თანამშრომელთა სამუშაოზე გამოცხადების კონტროლის სისუსტეები.....	28
ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებასთან დაკავშირებული პრობლემები	28
გადავადებულ გადასახადებთან დაკავშირებული პრობლემები	29

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

ცენტრი – შპს „დევენილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი“.

იგპ – იძულებით გადაადგილებული პირი.

ა/რ – ავტონომიური რესპუბლიკა.

დამფუძნებელი – აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

სოციალური სააგენტო – სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.

სას – სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

ბასს – ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შპს „დეწილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ სახსრების ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების განკარგვის მოქმედ კანონმდებლობასთან (01.01.2015 – 01.01.2018 წლები) შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

1. 2015 წელს, გინეკოლოგიური კაბინეტის მოწყობის მიზნით, ცენტრმა თხოვნით მიმართა დამფუძნებელს თანხის რეინვესტირების თაობაზე, რაზეც დამფუძნებელმა ცენტრს განუცხადა უარი. მიუხედავად ნებართვის არარსებობისა, დამფუძნებელი პარტნიორის თანხმობის გარეშე ცენტრმა მაინც მოაწყო გინეკოლოგიური კაბინეტი, რაზეც გაიხარჯა 13,554.00 ლარი. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს დამფუძნებლის მხრიდან არასათანადო კონტროლზე (შესაბამისი ღონისძიებები გატარდა დაგვიანებით და იყო არარელევანტური, ვინაიდან მსგავსი ფაქტები ადრეც ფიქსირდებოდა), ასევე ცენტრის მხრიდან წესდების მოთხოვნათა დაუცველობაზე, დამფუძნებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების უგულებელყოფაზე, დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულებაზე (გვ. 16).
2. ცენტრის წესდებით განსაზღვრულია იმ ხელშეკრულებათა შეთანხმების წესი, რომელთა ღირებულება აჭარბებს ცენტრის საწესდებო კაპიტალის 15%-ს. მიუხედავად აღნიშნულისა, ცენტრის მიერ (საწესდებო კაპიტალის 15%-მდე გადაჭარბებით) 2015 წელს შეძენილია 18,497.00 ლარის ღირებულების აქტივი, 2016 წელს – 12,616.00 ლარის ღირებულების სამედიცინო სახარჯი მასალები და ლაბორატორიული რეაქტივები, ხოლო 2017 წელს – 7,340.00 ლარის ღირებულების რეაქტივები. განხორციელებულ შესყიდვებთან დაკავშირებით, ცენტრის მიერ დადგენილი წესით, მოთხოვნის წერილი არ გაგზავნილა დამფუძნებელთან, შესაბამისად, პასუხად თანხმობა არ ყოფილა. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს მართვის სისუსტეებზე და როგორც დამფუძნებლის, ისე ცენტრის ხელმძღვანელობის მხრიდან არასათანადო კონტროლზე (გვ. 19).
3. მოქმედი კანონმდებლობით, საყოველთაო დაზღვევის პროგრამით განსაზღვრულია დაფინანსება სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში. შესაბამისად, ცენტრი იღებს ყოველთვიურ შემოსავალს, თუმცა 2015 წლის ივნისში – 26,381.58 ლარი ვერ იქნა მიღებული, რადგან ცენტრმა დაფინანსების მიღებისათვის ინფორმაცია წარადგინა დაგვიანებით (3 თვეზე მეტი ვადა). შექმნილი ვითარების გამო, ცენტრის თანამშრომლებზე ხელფასები გაიცა საკუთარი კაპიტალიდან, რაზეც დამფუძნებლის თანხმობა არ ყოფილა. აღნიშნულით დაირღვა ცენტრის წესდებით დადგენილი –

დამფუძნებელთან შეთანხმების წესი და როგორც დამფუძნებლის, ისე ცენტრის ხელმძღვანელობის არასათანადო კონტროლის/მიდგომის გამო, ბიზნეს გეგმით გათვალისწინებული შემოსავლები შემცირდა 26,381.58 ლარით (გვ. 20).

4. 2015-2017 წლების ხელფასების დარიცხვა-გაცემის მდგომარეობის შესწავლით გამოვლინდა, რომ ცენტრის ბუღალტრის მიერ გაანგარიშებებში დაშვებული შეცდომებისა და დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების გამო, 3 თანამშრომელს ზედმეტად დაუკავდა კუთვნილი ხელფასიდან 210.00 ლარი, ხოლო 9 თანამშრომელს არ დაუკავდა ხელფასიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული, 526.00 ლარის საშემოსავლო გადასახადი (გვ. 22).

5. ცენტრი ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) და აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 2010 წლის 29 დეკემბრის N01/104 ბრძანებით დადგენილი დანართების მიხედვით, თუმცა 2015-2017 წლებში ცენტრის ბუღალტრის მიერ დაშვებული შეცდომისა და დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების გამო, ფინანსური ანგარიშგებები წარდგენილია არასრულად და არასწორად, რაც ზემოაღნიშნული ნორმატივისა და სტანდარტების დარღვევა და წარმოშობს დამფუძნებლისათვის არასწორი/არასრული ფინანსური ინფორმაციის მიწოდებისა და ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების შეცდომაში შეყვანის რისკებს (გვ. 23).

6. ცენტრი 2015-2017 წლებში განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა ქ. თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში, კალოუზნის N16-ში მდებარე შენობის მესამე სართულზე. აღსანიშნავია, რომ ცენტრი საკუთარი შემოსავლების მისაღებად ზემოაღნიშნულ ფართს იყენებდა ყოველგვარი კანონიერი საფუძვლისა¹ და შესაბამისი ანაზღაურების გადახდის გარეშე, თუმცა 2018 წლის 14 სექტემბერს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ცენტრის სასარგებლოდ და ფართის ნაწილი (მე-3 სართული – 643.91 კვ.მ), გადასცა ცენტრს სასამართლო პროცესის დასრულების შემდგომ სარგებლობის უფლებით. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრისათვის ცნობილი იყო მიმდინარე სასამართლო პროცესის (დავის) შესახებ, ბუღალტრის მიერ დაშვებული შეცდომისა და დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების გამო, 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (განმარტებითი შენიშვნების ფორმაში), საოფისე ფართი პირობით აქტივად არ

¹ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი; 36-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

აღიარებულა, შედეგად, შეიქმნა ფინანსური ანგარიშგების არასწორად წარდგენისა და პოტენციური ინვესტორების/მომხმარებლების შეცდომაში შეყვანის რისკი (გვ. 24).

7. ცენტრში პასუხისმგებელ პირთა მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობით, ამავედროულად, როგორც დამფუძნებლის, ისე ცენტრის ხელმძღვანელობის არასათანადო კონტროლის გამო, 2015-2017 წლებში ბენეფიციართა ბარათების წარმოება არ ხორციელდებოდა კანონით დადგენილი წესით. 2013-2018 წლების ბენეფიციართა ელექტრონული ბაზის დამუშავებით დადგინდა, რომ 2015-2017 წლებში კანონშეუსაბამოდ რეგისტრირებული იყო, დაახლოებით, 5096 ბენეფიციარი. ამის გამო, ცენტრი კაპიტაციური (გლობალური ბიუჯეტის პრინციპით) მონაცემების არასწორად წარდგენის საფუძველზე, იღებდა 9,784.32 ლარის ყოველთვიურ შემოსავალს, რაც ჯამში შეადგენს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით მიღებულ 352,235.52 ლარის² შემოსავალს და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ექვემდებარება ბიუჯეტში აღდგენას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტომ 2013 - 2017 წლებში გამოვლენილ მსგავს დარღვევა-ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, ცენტრი დააჯარიმა 2,627,697.70 ლარით (გვ. 25).

8. ცენტრის მიერ შესყიდვების ელექტრონული სისტემის დაგეგმვის მოდულში წარმოდგენილი 2015-2017 წლების შესყიდვების გეგმებისა და ფაქტობრივად განხორციელებული შესყიდვების შესწავლით დგინდება, რომ ცენტრის მიერ დაგეგმილი შესყიდვების ფაქტობრივი შესრულება შეადგენდა: 2015 წელს – 68%-ს, 2016 წელს – 44%-ს, ხოლო 2017 წელს – 40%-ს. ყოველწლიურად ცენტრის მიერ დაგეგმილი მაჩვენებლების შეუსრულებლობის მზარდი ტენდენცია ცენტრის მიერ არასათანადო წინასწარი პროცედურების ჩატარებასა და შესყიდვების დაგეგმვაში არსებულ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებზე მიუთითებს.

2015-2017 წლებში ცენტრის მიერ გამოცხადებული 10 ტენდერიდან, მხოლოდ 1 (ერთზე) ფიქსირდება ბაზრის შესწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში, ბაზრის შესწავლა ტარდებოდა სავარაუდო მომწოდებლებთან სატელეფონო გასაუბრებით, ხოლო რაიმე სახის დოკუმენტი წარმოდგენილი არ არის, რაც ბაზრის არაეფექტიან შესწავლაზე მიუთითებს.

2015-2017 წლებში გაფორმებული 195 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებიდან, 168 შემთხვევაში არ არის გაფორმებული აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული

² 5096 ლარი x 1.92 (საშუალო კაპიტაციური მაჩვენებელი) x 3 (წელი) x 12 (თვე) = 352,235.52 ლარი.

სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტები, შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების კონტროლი არაეფექტიანია.

2015-2017 წლებში გაფორმებული 195 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებიდან 143 ხელშეკრულება შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დარღვევით, რაც კონტროლის მნიშვნელოვან სისუსტეზე მიუთითებს.

ამრიგად, ცენტრში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები გამოწვეულია როგორც დაგეგმვის, ისე შესრულების ეტაპზე კონტროლის მნიშვნელოვანი სისუსტეებით და პასუხისმგებელ პირებზე დაკისრებული მოვალეობების არასათანდო შესრულებით, რაც ჯამში ქმნის ფულადი სახსრების არაეფექტიანად გახარჯვის მნიშვნელოვან რისკებს (გვ. 28).

გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების საპასუხოდ, აუდიტის სამსახურმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია N1: ცენტრმა დამფუძნებელთან შეთანხმებით შეიმუშაოს ისეთი კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შიდა რეგულაციებითა და საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული წესების დაცვას. ცენტრის ხელმძღვანელობის მიერ განხილულ იქნეს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა არასათანდო ქმედების შედეგად დაფიქსირდა წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის ფაქტები. ამავდროულად, დამფუძნებელთან ერთად დაწესდეს მკაცრი კონტროლი დამფუძნებელთან შესათანხმებელ საქმიანობაზე, რათა არ განხორციელდეს აქტივობები დადგენილი ნებართვების გარეშე.

რეკომენდაცია N2: ცენტრმა შეიმუშაოს ისეთი კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვას. ამავდროულად, განხორციელდეს თანამშრომლებისთვის არასწორად დაკავებული და ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადის თანხების უკან დაბრუნება.

რეკომენდაცია N3: ცენტრის ხელმძღვანელობის მხრიდან განხორციელდეს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესში კონტროლის გამკაცრება და პასუხისმგებელი პირების საკითხის განხილვა, რათა შემდგომში ფინანსური ანგარიშგება წარდგენილ იქნეს მოქმედი ნორმატიული აქტების/სტანდარტების შესაბამისად.

რეკომენდაცია N4: ცენტრმა დამფუძნებელთან ერთად უზრუნველყოს უძრავი ქონების სარგებლობის მოქმედი კანონმდებლობის ჩარჩოებში მოქცევა და განახორციელოს შესაბამისი კორექტირებები/ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში სასამართლო დავის მიმდინარეობის პერიოდის გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის, სისწორისა და სისრულის პრინციპების დაცვა.

რეკომენდაცია N5: ცენტრმა კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის შეუსაბამოდ მიღებული თანხების ბიუჯეტში დაბრუნება. ამავდროულად, განხილულ იქნეს იმ პასუხისმგებელ პირთა საკითხი, რომელთა არასათანადო ქმედებით, კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით იქნა მიღებული ბიუჯეტიდან კაპიტაციური (გლობალური ბიუჯეტის პრინციპით) თანხები. დამფუძნებელთან შეთანხმებით შემუშავდეს შესაბამისი ღონისძიებები და დაინერგოს ქმედითი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას და გამორიცხავს დადგენილი წესის შეუსაბამოდ ბიუჯეტიდან კაპიტაციური (გლობალური ბიუჯეტის პრინციპით) თანხების მიღებას.

რეკომენდაცია N6: ცენტრმა განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვების პროცესში გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით შესაბამის პასუხისმგებელ პირთა საკითხის განხილვა და უზრუნველყოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმების დანერგვა, რათა მოხდეს სახსრების გეგმაზომიერი და ეფექტიანი ხარჯვა.

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ცენტრი ასევე პასუხისმგებელია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ სახსრების ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების განკარგვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი წარიმართა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI 4000), რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას იმ მიზნით, რათა მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმასთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ სახსრების ხარჯვა და მატერიალური ფასეულობების განკარგვა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

აუდიტი ჩატარდა შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ ამოწმებს ყველა ფინანსურ ოპერაციას. აუდიტის ანგარიში და დასკვნა არ არის საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტია. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების

მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას. ჩვენ მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა:

- 2015-2017 წლებში საქმიანობის განსახორციელებლად გამოყენებული სახსრები, მიმდინარე და კაპიტალიზებული ხარჯები;
- მატერიალური ფასეულობების გამოყენებისა და ხარჯვის მდგომარეობა.

აუდიტის მასშტაბი

შპს „დეენილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ სახსრების ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების განკარგვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდი.

გამოყენებული კრიტერიუმები

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის ბრძანება N7 „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“;

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 4 აპრილის N01/49 ბრძანებით დამტკიცებული შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის წესდება“;
- საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულება;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ – (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები(ბასს));
- საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის დადგენილება N36 „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“.

აუდიტის მიზანი

შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ მიერ 2015-2017 წლებში სახსრების ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების განკარგვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის მიზანია:

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია – რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

-)/ აუდიტის ობიექტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
-)/ ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან და ფოკუსჯგუფებთან;
-)/ მონაცემთა ანალიზი (მონაცემთა ბაზების და მონაცემთა დოკუმენტური ანალიზი).

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ცენტრი ახორციელებს: მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას და პირველად მრავალპროფილიან მომსახურებას ნებისმიერი ასაკის პაციენტისათვის, პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობისა და შრომისუნარიანობის დადგენის საექსპერტო მომსახურებას, პრევენციულ ღონისძიებებს, მათ შორის, სკრინინგულ ღონისძიებებს, არსებული რესურსების ფარგლებში ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩატარებას. ცენტრი ახორციელებს ჩატარებული სამედიცინო მომსახურების დოკუმენტაციის სტატისტიკური და სააღრიცხვო-საანგარიშო ფორმების წარმოებას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ატარებს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის ექსპერტიზას და გასცემს ყველა სახის ცნობას, რაც პირველადი ჯანმრთელობის დაცვის დონეზეა შესაძლებელი.

2015-2017 წლებში ცენტრის ფინანსური შედეგები:

2015 წელი	ფაქტობრივი მონაცემები (ლარი)	გეგმური მონაცემები (მოლოდინი) (ლარი)	ცვლილება	
			გადახრა (ლარი)	%
1. მთლიანი შემოსავლები	434,187.30	400,030.00	34,157.30	9%
1.1 შიდა სტანდარტით	141,352.00	100,000.00	41,352.00	41%
1.2 პროგრამებით	288,996.30	300,000.00	(11,003.70)	-4%
1.3 სხვა შემოსავლები	3,839.00	30.00	3,809.00	12697%
2. მთლიანი ხარჯები	441,633.00	357,210.00	84,423.00	24%
2.1 ნედლეული და მასალები	6,441.00	6,000.00	441.00	7%
2.2 ელექტროენერგია	3,758.00	5,000.00	(1,242.00)	-25%
2.3 წყალი	1,892.00	2,500.00	(608.00)	-24%
2.4 ლაბორატორიული ხარჯი	10,256.00	9,000.00	1,256.00	14%
2.5 კავშირგაბმულობა	4,712.00	5,000.00	(288.00)	-6%
2.6 კომუნალური	1,260.00	1,260.00	-	0%
2.7 ხელფასი	349,157.00	280,000.00	69,157.00	25%
2.8 ოფისის ხარჯები	8,519.00	7,450.00	1,069.00	14%
2.9 ბანკის მომსახურება	176.00	-	176.00	-
2.10 მიმდინარე რემონტი	1,324.00	-	1,324.00	-
2.11 ამორტიზაცია	8,674.00	5,000.00	3,674.00	73%
2.12 სხვა ხარჯები	45,464.00	36,000.00	9,464.00	26%
3. მოგება	(7,443.00)	42,820.00	(50,263.00)	-117%

3.1 მოგების გადასახადი	-	6,423.00	(6,423.00)	-100%
3.2 წმინდა მოგება	(7,443.00)	36,397.00	(43,840.00)	-120%

2016 წელი	ფაქტობრივი მონაცემები (ლარი)	გეგმური მონაცემები (მოლოდინი) (ლარი)	გადახრა (ლარი)	%
1. მთლიანი შემოსავლები	457,461.77	420,000.00	37,461.77	9%
1.1 შიდა სტანდარტით	139,655.00	120,000.00	19,655.00	16%
1.2 პროგრამებით	316,302.00	300,000.00	16,302.00	5%
1.3 სხვა შემოსავლები	1,505.00	-	1,505.00	-
2. მთლიანი ხარჯები	420,721.00	393,260.00	27,461.00	7%
2.1 ნედლეული და მასალები	9,312.00	9,000.00	312.00	3%
2.2 ელექტროენერგია	6,183.00	4,500.00	1,683.00	37%
2.3 წყალი	1,738.00	2,500.00	(762.00)	-30%
2.4 ლაბორატორიული ხარჯი	8,444.00	9,000.00	(556.00)	-6%
2.5 კავშირგაბმულობა	4,487.00	4,800.00	(313.00)	-7%
2.6 კომუნალური	1,260.00	1,260.00	-	0%
2.7 ხელფასი	334,043.00	302,400.00	31,643.00	10%
2.8 ოფისის ხარჯები	5,507.00	8,000.00	(2,493.00)	-31%
2.9 ბანკის მომსახურება	167.00	300.00	(133.00)	-44%
2.10 მიმდინარე რემონტი	-	-	-	-
2.11 ამორტიზაცია	7,067.00	6,000.00	1,067.00	18%
2.12 რენტგენისა და სამედიც. მომსახურების	33,701.00	35,000.00	(1,299.00)	-4%
2.12 სხვა ხარჯები	8,811.00	10,500.00	(1,689.00)	-16%
3. მოგება	36,741.00	26,740.00	10,001.00	37%
3.1 მოგების გადასახადი	5,511.00	4,011.00	1,500.00	37%
3.2 წმინდა მოგება	31,230.00	22,729.00	8,501.00	37%

2017 წელი	ფაქტობრივი მონაცემები (ლარი)	გეგმური მონაცემები (მოლოდინი) (ლარი)	გადახრა (ლარი)	%
1. მთლიანი შემოსავლები	470,648.10	445,000.00	25,648.10	6%
1.1 შიდა სტანდარტით	160,220.00	135,000.00	25,220.00	19%
1.2 პროგრამებით	303,558.00	310,000.00	(6,442.00)	-2%
1.3 სხვა შემოსავლები	6,870.10	-	6,870.10	-
2. მთლიანი ხარჯები	428,734.00	424,800.00	3,934.00	1%
2.1 ნედლეული და მასალები	8,229.00	9,000.00	(771.00)	-9%
2.2 ერთჯერადი მომსახურების ხარჯი	4,041.00	2,000.00	2,041.00	102%
2.3 ელექტროენერგია	5,840.00	6,000.00	(160.00)	-3%
2.4 წყალი	1,515.00	2,500.00	(985.00)	-39%
2.5 ლაბორატორიული ხარჯი	8,111.00	9,000.00	(889.00)	-10%

2.6 კავშირგაბმულობა	4,233.00	4,800.00	(567.00)	-12%
2.7 სამედიცინო ნარჩენების გატანა	770.00	840.00	(70.00)	-8%
2.8 საკანცელარიო და სამედიცინო ბარათების შემენა	4,750.00	4,600.00	150.00	3%
2.9 კომუნალური	1,260.00	2,060.00	(800.00)	-39%
2.10 გაზიფიცირების ხარჯები	-	17,000.00	(17,000.00)	-100%
2.11 ხელფასი	346,113.00	320,400.00	25,713.00	8%
2.12 აუდიტორული მომსახურებისა და შესყიდვებთან დაკავშ. ხარჯები	1,075.00	4,000.00	(2,925.00)	-73%
2.13 ოფისის ხარჯები	1,077.00	1,200.00	(123.00)	-10%
2.14 მცირეფასიანი და ძირითადი საშუალ. შემენა	1,260.00	1,000.00	260.00	26%
2.15 ბანკის მომსახურება	177.00	200.00	(23.00)	-12%
2.16 მიმდინარე რემონტი	1,683.00	3,000.00	(1,317.00)	-44%
2.17 ამორტიზაცია	7,590.00	6,000.00	1,590.00	27%
2.18 რენტგენისა და სამედიც. მომსახურების	22,252.00	21,600.00	652.00	3%
2.19 სხვა ხარჯები	230.00	1,800.00	(1,570.00)	-87%
2.20 ძირითადი საშუალების შემენა	2,368.00	6,000.00	(3,632.00)	-61%
2.21 კომპიუტერის ხარჯები	1,800.00	1,800.00	-	0%
2.22 ჰუმანიტარული აცრების ხარჯი	4,360.00	-	4,360.00	-
3. მოგება	41,914.00	20,200.00	21714.00	107%
3.1 მოგების გადასახადი	6,287.00	3,030.00	3,257.00	107%
3.2 წმინდა მოგება	35,627.00	17,170.00	18,457.00	107%

ცხრილი N1. ინფორმაცია 2015-2017 წლებში ცენტრის ფინანსური შედეგების შესახებ (ლარი)

წელი	რეინვესტირებული თანხები
2015	17,254.75
2016	-
2017	16,741.00
2018	20,000.00

ცხრილი N2. რეინვესტირებული მოგების გამოყენების შესახებ ინფორმაცია 2015-2018 წლებში (ლარი)

აუდიტის მიგნებები

საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

რეინვესტირებულ თანხებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

გამოვლენილი გარემოებები

აუდიტის პერიოდში ცენტრის მიერ ხორციელდებოდა როგორც საკუთარი შემოსავლების მობილიზება, ისე საოპერაციო და სხვადასხვა ხარჯების გაწევა. მიღებული გაუნაწილებელი მოგებიდან კი ხდებოდა თანხების რეინვესტირება (ცხრილი N2). კერძოდ, რეინვესტირებამ ჯამში შეადგინა – 33,995.75 ლარი. წლების მიხედვით გაწეული საქმიანობიდან მიღებული შედეგები დინამიკაში ხასიათდებოდა არათანაბარზომიერი (განსხვავებული) მაჩვენებლებით (იხ. ცხრილი N1).

გინეკოლოგიური კაბინეტის მოწყობის მიზნით, ცენტრმა 2015 წელს თანხის რეინვესტირებაზე თხოვნით, წერილობით³ მიმართა დამფუძნებელს – აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, რაზეც ცენტრს ეთქვა უარი⁴, რადგან ცენტრის განთავსების ადგილას უკვე არსებობდა, დამფუძნებლის მიერ დაფუძნებული, ანალოგიური ტიპის მომსახურების მიმწოდებელი – შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ქალთა კონსულტაცია“ (შემდგომში – ქალთა კონსულტაცია). შესაბამისად, მიზანშეწონილად არ ჩაითვა ერთ შენობაში ყოფილიყო ორი ანალოგიური/ერთნაირი ტიპის მომსახურების მიმწოდებელი. დამფუძნებლის უარის მიუხედავად ცენტრმა მაინც მოაწყო გინეკოლოგიური კაბინეტი, რაზეც დაიხარჯა 13,554.00 ლარი. აღნიშნულთან დაკავშირებით, დამფუძნებელმა მხოლოდ 8 თვის შემდეგ განიხილა საკითხი (რაც დაგვიანებულ ღონისძიებაზე მიუთითებს) და ცენტრის დირექტორს 2016 წელს მისცა გაფრთხილება⁵. ცენტრის დირექტორის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გინეკოლოგიურმა კაბინეტმა უფრო შემოსავლიანი გახადა მედიცინის ცენტრი. ამავდროულად როგორც ქალთა კონსულტაციის 2015-2017 წლების მოგება-ზარალის უწყისების ანალიზით ვლინდება (ცხრილი N3), ცენტრის მიერ მიღებული თვითნებური გადაწყვეტილების შემდეგ, ფიქსირდება ქალთა კონსულტაციის შემოსავლების შემცირება დინამიკაში.

³ 2015 წლის 1 ოქტომბრის N69 წერილი და 2015 წლის 23 ოქტომბრის წერილი N77.

⁴ აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2015 წლის 12 ოქტომბრის N240/01 წერილი.

⁵ აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2016 წლის 30 ივნისის ბრძანება N03/103.

წელი	შემოსავლები	ხარჯები
2015	108,153.00	100,730.00
2016	99,174.10	96,058.27
2017	97,310.50	94,527.06

ცხრილი N3. შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ქალთა კონსულტაციის“ შემოსავლები და ხარჯები 2015-2017 წლებში (ლარი).

ამრიგად, ცენტრის გადაწყვეტილება რეინვესტირებასთან დაკავშირებით, რომელიც მიღებულ იქნა ცენტრის წესდების მოთხოვნათა დარღვევით, მაღალი ალბათობით (იმის გათვალისწინებით, რომ წინა წლებში ქალთა კონსულტაციისგან ხორციელდებოდა აღნიშნული მომსახურების შესყიდვა), გახდა კიდევ დამფუძნებლის მიერ დაფუძნებული საწარმოს (ქალთა კონსულტაცია) შემოსავლების შემცირების ერთ-ერთი მიზეზი.

დასკვნა

ცენტრის წესდებით⁶ განსაზღვრულია, რომ რეინვესტირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დამფუძნებელი, თუმცა დამფუძნებლის არასათანადო კონტროლის (შესაბამისი ღონისძიებები გატარდა დაგვიანებით და იყო არასათანადო, ვინაიდან მსგავსი ფაქტები ფიქსირდებოდა ადრეც)⁷ პირობებში, ცენტრის მიერ წესდების მოთხოვნები არ იქნა გათვალისწინებული და საანგარიშგებო მოგების გამოყენება განხორციელდა თვითნებურად. მიუხედავად იმისა, ცენტრმა განხორციელებული აქტივობიდან (გინეკოლოგიური კაბინეტის მოწყობა) მიიღო თუ არა სარგებელი, აღნიშნული ფაქტი ადასტურებს ცენტრის მხრიდან წესდების დაუცველობას, დამფუძნებლის გადაწყვეტილების უგულებელყოფას და მიუთითებს ცენტრის მიერ წესდებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობაზე.

⁶ აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 04 აპრილის N11/49 ბრძანებით დამტკიცებული შპს „დევენილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ წესდების მე-4 მუხლის, 4.3 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტი.

⁷ სას-ის 2015 წლის 15 ოქტომბერს დამტკიცებული ფინანსური და შესაბამისობის N15/129 ანგარიში, მე-9 გვერდი. 2015 წლის 15 ოქტომბრის სარეკომენდაციო წერილი.

უნებართვოდ გაფორმებული ხელშეკრულებები

გამოვლენილი გარემოებები

ცენტრის წესდებით განსაზღვრულია⁸ იმ ხელშეკრულებების შეთანხმების წესი, რომელთა ღირებულება აჭარბებს ცენტრის საწესდებო კაპიტალის 15%-ს (4,410.00 ლარი). მიუხედავად აღნიშნულისა, ცენტრის მიერ 2015 წელს მიმდინარე საქმიანობისას (რაც რაიმე გადაუდებელ ღონისძიებებს არ გულისხმობს) შეძენილია 18,497.00 ლარის ღირებულების აქტივი. ცენტრის მიერ პარტნიორთან – დამფუძნებელთან შეძენის ნებართვის მოთხოვნით გაიგზავნა 4 წერილი, რაზეც პასუხი (თანხმობა) და/ან ოფიციალური ნებართვა 2 შემთხვევაში არ ყოფილა. აღნიშნული დამფუძნებლის მხრიდან დაკისრებული მოვალეობებისადმი არასათანადო დამოკიდებულებაზე მიუთითებს. 2016 წელს შეძენილია 12,616.00 ლარის ღირებულების სამედიცინო სახარჯი მასალები და ლაბორატორიული რეაქტივები, ხოლო 2017 წელს – 7,340.00 ლარის ღირებულების ლაბორატორიული რეაქტივები. აღნიშნულ შესყიდვებთან დაკავშირებით მოთხოვნის წერილი არ გაგზავნილა დამფუძნებელთან და შესაბამისად თანხმობაც არ ყოფილა. აღსანიშნავია, რომ აუდიტის ჩატარების მომენტისათვის, დამფუძნებლის მხრიდან ცენტრის მიერ შესაბამისი ნებართვის გარეშე ზემოაღნიშნული შესყიდული აქტივების შესახებ რაიმე რეაგირება არ დაფიქსირებულა, რაც დამფუძნებლის მხრიდან არასათანადო კონტროლზე მიუთითებს.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადგენილი წესის უგულებელყოფით დაფიქსირდა დამფუძნებლის ნებართვის გარეშე სახსრების ხარჯვა და არასათანადო კონტროლის რისკები.

დასკვნა

ცენტრის მიერ, დამფუძნებლის მხრიდან არასათანადო კონტროლის პირობებში, დაირღვა წესდებით გათვალისწინებული დამფუძნებელთან შეთანხმების წესი, რაც ცენტრში მიმდინარე საოპერაციო საქმიანობაში არსებული მართვის სისუსტეებზე, სახსრების ნებართვის გარეშე ხარჯვასა და როგორც ცენტრის ხელმძღვანელობის, ისე დამფუძნებლის მხრიდან კონტროლის არაეფექტიანობაზე მიუთითებს და წარმოშობს წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის რისკებს.

⁸ აფხაზეთის ა/რ - ის ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 4 აპრილის N11/49 ბრძანებით დამტკიცებული შპს „დევილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ წესდების მე-5 მუხლის, 5.7 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

ხელფასების დარიცხვა-გაცემისას გამოვლენილი ნაკლოვანებები

გამოვლენილი გარემოებები

საყოველთაო დაზღვევის პროგრამით განსაზღვრულია დაფინანსება, სადაც ცენტრის მიერ რეგისტრირებული და შესაბამისად, თვის განმავლობაში ბენეფიციართათვის გაწეული მომსახურების დამადასტურებელი ინფორმაციის წარდგენით, ამ პროგრამით განსაზღვრულ სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში, ცენტრი იღებს ყოველთვიურ შემოსავლებს, თუმცა 2015 წლის ივნისში – 26,381.58 ლარი ვერ მიიღო. ცენტრის პასუხისმგებელი პირების მიერ დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობისა და დამფუძნებლის არასათანადო კონტროლის გამო, დაფინანსების მიღებისათვის ინფორმაციის წარდგენა მოხდა დაგვიანებით, კანონმდებლობით დადგენილი⁹ ვადის დარღვევით, რის შემდეგ არასაკმარისი შემოსავლების პირობებში, ზემდგომის თანხმობის გარეშე, ცენტრის თანამშრომლებზე ხელფასები გაიცა საკუთარი კაპიტალიდან. შესაბამისად, დაირღვა ცენტრის წესდებით დადგენილი დამფუძნებელთან შეთანხმების წესი და ცენტრისა და დამფუძნებლის არასათანადო კონტროლის/მიდგომის გამო, ბიზნეს გეგმით გათვალისწინებული შემოსავლები შემცირდა აღნიშნული თანხით. ამ ფაქტთან დაკავშირებით, დამფუძნებლის მხრიდან მხოლოდ 8 თვის შემდეგ მოხდა რეაგირება (რაც დაგვიანებულ ღონისძიებაზე მიუთითებს) და ცენტრის ხელმძღვანელობამ 2016 წელს მიიღო გაფრთხილება¹⁰. ასევე აღსანიშნავია, რომ მისაღები შემოსავლების თანხა კვლავ შემოსავლადაა აღიარებული და დღემდე არ ჩამოწერილა, მაშინ როდესაც, 2015 წლის სააგარიშგებო წლის ბოლოს ცნობილი იყო, რომ შემოსავლების მიღების ალბათობა ნული (0) იყო.

დასკვნა

ცენტრში პასუხისმგებელი პირების მიერ დაკისრებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულების გამო, ვერ განხორციელდა დადგენილი წესით მისაღები დაფინანსებისათვის ინფორმაციის წარდგენა და როგორც დამფუძნებლის, ისე ცენტრის ხელმძღვანელობის არასათანადო კონტროლის პირობებში, თანამშრომლებზე ხელფასები გაიცა საკუთარი კაპიტალიდან, რაც ცენტრის წესდებით დადგენილ – დამფუძნებელთან შეთანხმების

⁹ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის დადგენილება N36 „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“, მე-8 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები.

¹⁰ აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2016 წლის 30 ივნისის ბრძანება N03/103.

წესს¹¹ არღვევს და წესდებით განსაზღვრული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის წესის დაუცველობაზე მიუთითებს.

რეკომენდაცია

ცენტრმა დამფუძნებელთან შეთანხმებით შეიმუშაოს ისეთი კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შიდა რეგულაციებით (წესდებით) განსაზღვრული წესების დაცვას. ცენტრის ხელმძღვანელობამ განიხილოს იმ პირთა პასუხიმგებლობის საკითხი, რომელთა არასათანადო ქმედების გამო დაფიქსირდა წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის ფაქტები. ამავდროულად, დამფუძნებელთან ერთად დაწესდეს მკაცრი კონტროლი დამფუძნებელთან შესათანხმებელ საქმიანობაზე, რათა აქტივობები არ განხორციელდეს დადგენილი ნებართვების გარეშე.

ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების ნაკლოვანებები

საშემოსავლო გადასახადის არასწორი გაანგარიშებით გაცემული ხელფასები

გამოვლენილი გარემოებები

ცენტრის მიერ 2015-2017 წლების ხელფასებიდან დასაკავებელი საშემოსავლო გადასახადის ხელახალი გაანგარიშების და ობიექტის მიერ ამ პერიოდში წარდგენილ საშემოსავლო დეკლარაციებთან შედარების საფუძველზე გამოვლინდა, რომ ცენტრის ბუღალტრის მიერ გაანგარიშებებში დაშვებული შეცდომების გამო, 3 თანამშრომელს ზედმეტად დაუკავდა კუთვნილი ხელფასიდან 210.00 ლარი, ხოლო 9 თანამშრომელს არ დაუკავდა ხელფასიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული 526.00 ლარის საშემოსავლოს გადასახადი¹². შესაბამისად ზემოაღნიშნულით დაფიქსირდა ხელფასების არსწორად გაანგარიშება-გაცემა.

დასკვნა

ცენტრში არასათანადო კონტროლისა და ბუღალტრის მიერ დაშვებული შეცდომის გამო, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსაბამოდ არის წარდგენილი 2015-2017 წლების საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციები 736.00 ლარზე. შესაბამისად, იმავე

¹¹ აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 04 აპრილის N11/49 ბრძანებით დამტკიცებული შპს „დევენილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ წესდების მე-4 მუხლის, 4.3 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტი.

¹² საქართველოს საგადასახადო კოდექსის 79-ე მუხლის „ა“ პუნქტი, მე-80 მუხლის პირველი პუნქტი, 81-ე მუხლის პირველი პუნქტი, 82-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

თანხით არაზუსტია ხელფასების უწყისები, გაცემული ანაზღაურება და ბიუჯეტში გადარიცხული საშემოსავლო გადასახადი.

რეკომენდაცია

ცენტრმა შეიმუშაოს ისეთი კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვას. ამავდროულად, განხორციელდეს თანამშრომლებისთვის არასწორად დაკავებული და ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადის თანხების უკან დაბრუნება.

ფინანსური ანგარიშგების ფორმების ნაკლოვანებები

გამოვლენილი გარემოებები

მედიცინის ცენტრი ფინანსური ანგარიშგების წარდგენას ახორციელებდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) და აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2010 წლის 29 დეკემბრის №01/104 ბრძანებით დადგენილი დანართების მიხედვით, თუმცა 2015-2017 წლების ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას არ იყო ნაწარმოები ბასს-ით მოთხოვნილი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების ფორმა¹³, ხოლო ბრძანებით განსაზღვრული ფორმებიდან 2015-2017 წლებში არ იყო წარდგენილი: ფორმა N1 – ბიზნეს გეგმების პროექტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, კორექტირების, შესრულების მონიტორინგის ვადები და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, ფორმა N2² – ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზი, ასევე 2016-2017 წლებში არ იყო წარდგენილი ფორმა N2¹ – მოგება-ზარალის გეგმის პროექტი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არასრულად და არასწორად მოხდა ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, რაც აღნიშნული ნორმატიული აქტის დარღვევაა და არ იძლევა ინფორმაციის სწორად (რეალურად) აღქმის შესაძლებლობას.

დასკვნა

ცენტრში ფინანსური ანგარიშგებების შედგენისა და წარდგენის კუთხით ფიქსირდება ცენტრის ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირების მათზე დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულებისა და ცენტრის ხელმძღვანელობის მხრიდან სუსტი კონტროლის არსებობა, რაც წარმოშობს დამფუძნებლისათვის არასწორი/არასრული ფინანსური ინფორმაციის მიწოდებისა და ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების

¹³ ბასს 1 – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ მე-10 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი (განმარტებითი შენიშვნები), საქართველოს კანონი – „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მე-3 მუხლის 3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი და მე-5 პუნქტი.

შეცდომაში შეყვანის რისკებს. ამავდროულად, ცენტრის ფინანსური ანგარიშგებების შედგენასა და წარდგენასთან განხორციელებულ საქმიანობაში გამოვლენილი ნაკლოვანებები დამფუძნებლის მხრიდან არასათანადო კონტროლზე მიუთითებს.

რეკომენდაცია

ცენტრის ხელმძღვანელობის მხრიდან გამკაცრდეს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესში კონტროლი და განხილულ იქნეს პასუხისმგებელ პირებთან დაკავშირებული საკითხი, რათა შემდგომში ფინანსური ანგარიშგების წარდგენა განხორციელდეს მოქმედი ნორმატიული აქტების/სტანდარტების შესაბამისად.

სასამართლო დავები

უძრავი ქონების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები

გამოვლენილი გარემოებები

ცენტრი 2015-2017 წლებში განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა ქ. თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში, კალუბნის N16-ში მდებარე შენობის მესამე სართულზე. მიუხედავად იმისა, რომ აუდიტის პერიოდში აღნიშნული შენობა (ფართი) ირიცხებოდა შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოფთალმოლოგიური კლინიკის“ (შემდგომში – ოფთალმოლოგიური კლინიკა) ბალანსზე, მედიცინის ცენტრი ყოველგვარი კანონიერი საფუძვლისა¹⁴ და შესაბამისი ანაზღაურების გადახდის გარეშე, განაგრძობდა ზემოაღნიშნული ფართის გამოყენებას საკუთარი შემოსავლების მისაღებად. აღსანიშნავია, რომ წინა აუდიტის დროს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, საკითხი სამართლებრივად კვლავაც მოუგვარებელი იყო და 2017 წლისათვის უკვე მიმდინარეობდა სასამართლო დავა (მოსარჩელე – ცენტრი, ხოლო მოპასუხეები: საქართველოს მთავრობა, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, აფხაზეთის ა/რ მთავრობა, შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოფთალმოლოგიური კლინიკა“). თუმცა წინა წლებისგან განსხვავებით, მიმდინარე პერიოდში საქალაქო სასამართლომ 2018 წლის 14 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება ცენტრის სასარგებლოდ და გამოსცა აქტი, რომ ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება, რომელიც დღეის მდგომარეობით გაფორმებულია აღნიშნული ფართით (1,227.04 კვ.მ) მოსარგებლე ოფთალმოლოგიურ კლინიკასთან და გადაცემული ფართის

¹⁴ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი; 36-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

ნაწილი (მე-3 სართული – 643.91 კვ.მ), გადაეცეს ცენტრს იმავე პირობით, რა პირობითაც სარგებლობს ოფთალმოლოგიური კლინიკა. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრისათვის ცნობილი იყო მიმდინარე სასამართლო დავის შესახებ, 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (განმარტებითი შენიშვნების ფორმაში) არ აუსახულა ბასს¹⁵-ით განსაზღვრული პირობით აქტივად ასაღიარებელი საოფისე ფართი, რაც მოქმედი წესის დარღვევაა და არ იძლევა ინფორმაციის სწორად (რეალურად) აღქმის შესაძლებლობას.

დასკვნა

მედიცინის ცენტრის მიერ გატარებული რიგი ღონისძიებების მიუხედავად ცენტრი აუდიტის პერიოდში ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის¹⁶ გარეშე განაგრძობდა სახელმწიფო ქონების (ფართის) გამოყენებას საკუთარი შემოსავლების მისაღებად. ასევე ცენტრის ბუღალტრის მიერ არასწორი მიდგომისა და დამფუძნებლის არასათანადო კონტროლის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში ბასს-ის მიხედვით (განმარტებითი შენიშვნების ფორმაში) არ არის ასახული პირობითი აქტივები, რის გამო იქმნება პოტენციური ინვესტორების/მომხმარებლების შეცდომაში შეყვანის რისკები.

რეკომენდაცია

ცენტრმა დამფუძნებელთან ერთად უზრუნველყოს უძრავი ქონების სარგებლობის მოქმედი კანონმდებლობის ჩარჩოებში მოქცევა და შესაბამისი კორექტირებები/ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში სასამართლო დავის მიმდინარეობის პერიოდის გათვალისწინებით, რათა დაცული იყოს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის, სისწორისა და სისრულის პირნციპები.

არასრულად წარმოებული სამედიცინო დოკუმენტები

გამოვლენილი გარემოებები


ცენტრის მიერ 2015-2017 წლებში ბენეფიციართა ბარათების წარმოება არ ხორციელდებოდა კანონით დადგენილი წესით, კერძოდ, არ იყო შექმნილი ბარათი დადასტურებული ბენეფიციარის ხელმოწერით¹⁷ და მკაცრი აღრიცხვის ფორმებზე არ იყო თანდართული

¹⁵ ბასს 37 – „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ 89-ე პუნქტი (პირობითი აქტივები), საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მე-3 მუხლის 3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი.

¹⁶ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი; 36-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

¹⁷ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის დადგენილება N36 „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“, 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი.


ბენეფიციართა პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლები¹⁸. აღნიშნული ფაქტების გამო, სოციალური სააგენტოს მიერ 2018 წლის 1 თებერვლის N2018/01/02/02 აქტით – ცენტრი დაჯარიმდა 2,627,697.70 ლარით. სოციალურმა სააგენტომ შეამოწმა 2013-2017 წლების პერიოდი. ცენტრმა გაასაჩივრა სოციალური სააგენტოს გადაწყვეტილება და 2018 წლის 22 აგვისტოს საქალაქო სასამართლოს განჩინებით შეჩერდა აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება, თუმცა დავა მიმდინარეობდა აუდიტის განხორციელების პროცესშიც. ცენტრის მიერ მოწოდებული 2013-2018 წლების ბენეფიციართა ელექტრონული ბაზის დამუშავებით და აუდიტორული პროცედურებით დადგინდა, რომ 2015-2017 წლებში კანონშეუსაბამოდ რეგისტრირებული იყო დაახლოებით 5096 ბენეფიციარი (დიაგრამა N2) და შესაბამისად, ცენტრი კაპიტაციური (გლობალური ბიუჯეტის პრინციპით) მონაცემების წარდგენის საფუძველზე იღებდა ყოველთვიურად 9,784.32 ლარის შემოსავალს. ჯამში, სამი წლის მონაცემებით დაფიქსირდა კანონის მოთხოვნათა შეუსაბამოდ 352,235.52 ლარის¹⁹ შემოსავლის მიღება, რაც მოქმედი კანონმდებლობით, ექვემდებარება ბიუჯეტში აღდგენას. ასევე აღსანიშნავია, რომ ბენეფიციართა რაოდენობა როგორც დიაგრამა N1-სა და დიაგრამა N2-ზე ჩანს, ხასიათდება კლების ტენდენციით. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ფაქტი გამოწვეულია იმით, რომ არასრულად და არასწორად არის წარმოებული სამედიცინო დოკუმენტაცია (ე.ი. დოკუმენტაციის მოწესრიგების შედეგად, შემცირდა ზედმეტად აღრიცხული ბენეფიციარების რაოდენობა).



დიაგრამა N1. ბენეფიციართა დენადობა 2014-2018 წლებში

¹⁸ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 2 აგვისტოს N01-50/5 ბრძანება „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმის, მისი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 17 მარტის N01-19/5 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁹ 5096×1.92 (საშუალო კაპიტაციური მაჩვენებელი) $\times 3$ (წელი) $\times 12$ (თვე) = 352,235.52



დიაგრამა N2. ბენეფიციართა რეგისტრაცია 2013-2018 წლების მიხედვით

დასკვნა

ცენტრის სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ, მათზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის, ამავდროულად ცენტრის ხელმძღვანელობის მხრიდან სუსტი კონტროლის გამო, განხორციელდა საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად, არაეფექტიანად და კანონშეუსაბამოდ ხარჯვა.

რეკომენდაცია

ცენტრმა კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის შეუსაბამოდ მიღებული თანხების ბიუჯეტში დაბრუნება. ამავდროულად განხილულ იქნეს იმ პასუხისმგებელ პირთა საკითხი, რომელთა არასათანადო ქმედებით და კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით მიღებულ იქნა ბიუჯეტიდან კაპიტაციური (გლობალური ბიუჯეტის პრინციპით) სახსრები. დამფუძნებელთან შეთანხმებით, შემუშავდეს შესაბამისი ღონისძიებები და დაინერგოს ქმედითი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას და გამორიცხავს დადგენილი წესის შეუსაბამოდ ბიუჯეტიდან კაპიტაციური (გლობალური ბიუჯეტის პრინციპით) სახსრების მიღებას.

სახელმწიფო შესყიდვების ნაკლოვანებები

გამოვლენილი გარემოებები

შესყიდვების დაგეგმვა

ცენტრის მიერ შესყიდვების ელექტრონული სისტემის დაგეგმვის მოდულში წარმოდგენილი 2015-2017 წლების შესყიდვების გეგმებისა და ფაქტობრივად განხორციელებული შესყიდვების შესწავლით (ცხრილი N5) დადგინდა, რომ ცენტრის დაგეგმილ შესყიდვებსა და ფაქტობრივად განხორციელებულ შესყიდვებს შორის სხვაობამ 2015 წელს შეადგინა – 32%, 2016 წელს – 56%, ხოლო 2017 წელს – 60%. ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2015 წელს სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ დაგეგმილი რენტგენის აპარატის შესყიდვა შემდგომში აღარ განხორციელდა. რაც შეეხება 2016-2017 წლების სხვაობას, ის გამოწვეული იყო იმით, რომ ობიექტის მხრიდან, წინა წლების პრაქტიკის საფუძველზე შედგა მომავალი წლის გეგმა, რაც ფაქტობრივად არ დასტურდება. არსებული მონაცემები მიუთითებს (იხ. დიაგრამა N3), რომ ცენტრს არც ერთ შესასწავლ წელს არ ჰქონია შესყიდვების ფაქტობრივი მაჩვენებელი მომავალი წლის გეგმასთან მიახლოებულიც კი, ხოლო შესყიდვების გეგმების შესრულების მაჩვენებლები კლების ტენდენციით ხასიათდებოდა.

შესყიდვების დაგეგმვა (2015-2017 წლები)			
წელი	შესყიდვების გეგმა	ფაქტობრივი შესრულება	შესრულება (%)
2015	103,570.00	70,323.75	68%
2016	72,194.00	39,051.14	54%
2017	108,941.60	44,276.06	41%

ცხრილი N5. შესყიდვების დაგეგმვა 2015-2017 წლებში (ათასი ლარი)

ბაზრის შესწავლა

2015-2017 წლებში ცენტრის მიერ გამოცხადებული 10 ტენდერიდან მხოლოდ 1 (ერთზე) ფიქსირდება ბაზრის შესწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში, ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ბაზრის შესწავლა ტარდებოდა სავარაუდო მომწოდებლებთან სატელეფონო გასაუბრების საფუძველზე, ხოლო რაიმე სახის დოკუმენტი წარმოდგენილი არ არის, რაც ბაზრის არაფექტიან (არასათანადო) შესწავლაზე მიუთითებს.

მიღება-ჩაბარების აქტები

შესყიდვის ხელშეკრულებების შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტების შესწავლით და აუდიტის ჯგუფთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ 2015-2017 წლებში გაფორმებული 195 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებიდან, 168 შემთხვევაში არ არის გაფორმებული აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტები. შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების კონტროლი არაეფექტიანია²⁰ და წარმოიშვება დადებული ხელშეკრულებების შეუსრულებლობის რისკები.

შესყიდვების ხელშეკრულებები

2015-2017 წლებში გაფორმებული 195 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებიდან, 143 ხელშეკრულება შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დარღვევით, რაც კონტროლის არარსებობაზე მიუთითებს²¹.

დასკვნა

სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსაბამოდ დოკუმენტაციის წარმოებისა და ელექტრონულ სისტემაში დაგვიანებით წარდგენის ფაქტები, ასევე ცენტრის შესყიდვებზე პასუხისმგებელი პირების მიერ შესყიდვების დაგეგმვის, მიმდინარეობისა და ანგარიშების ეტაპების განხორციელებისას არაჯეროვანი მიდგომა და ცენტრის ხელმძღვანელობის არასათანადო კონტროლი წარმოშობს შესყიდვების არაეფექტიანად დაგეგმვის, განხორციელებისა და ანგარიშების რისკებს.

რეკომენდაცია

ცენტრმა განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვების პროცესში გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით შესაბამის პასუხისმგებელ პირთა საკითხის განხილვა და უზრუნველყოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმების დანერგვა, რათა განხორციელდეს სახსრების გეგმაზომიერი და ეფექტიანი ხარჯვა.

²⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვალის N2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

²¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

წინა აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

შესრულებული რეკომენდაციები:

ფინანსური ანგარიშგება და ბუღალტრული დოკუმენტაცია

ცენტრში, სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, 2012-2014 წლებში არასწორად აღრიცხული არაფინანსური აქტივები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იქნა აღრიცხული და ფინანსურ ანგარიშგებაში განხორციელდა შესაბამისი კორექტირებების/შესწორებების შეტანა.

სახელმწიფო შესყიდვები

ცენტრში, სას-ის რეკომენდაციის შესაბამისად, 2016-2017 წლების სახელმწიფო შესყიდვების გეგმა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამის ვადებში იყო ატვირთული, ასევე შესყიდვების განხორციელებისას, არსებული სხვა დოკუმენტაციის ატვირთვის ვადების დარღვევის შემთხვევები გამოირჩევა კლების ტენდენციით.

არაფინანსური აქტივების აღრიცხვა

სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, განხორციელდა აღურიცხავი აქტივების შეფასება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბალანსზე ასახვა.

შესასრულებელი რეკომენდაციები:

უძრავი ქონება

ცენტრი კვლავ ყოველგვარი სამართლებრივი (კანონიერი) საფუძვლის გარეშე იყო განთავსებული და იყენებდა სახელმწიფო უძრავ ქონებას (საოფისე ფართს).

რეინვესტირებული თანხები

ცენტრში, ისევე როგორც წინა წლებში, დაფიქსირდა დამფუძნებელი პარტნიორის თანხმობის გარეშე რეინვესტირებული თანხების გამოყენება.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

ისევე როგორც წინა წლებში, ცენტრის წესდებით განსაზღვრული წესის მიხედვით, დამფუძნებელი პარტნიორის თანხმობის შესაბამისად, დამოუკიდებელი აუდიტორის

მიერ არ განხორციელებულა ცენტრის 2016-2017 წლების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

სხვა დარღვევა-ნაკლოვანებები

თანამშრომელთა სამუშაოზე გამოცხადების კონტროლის სისუსტეები

გამოვლენილი გარემოებები

2015-2017 წლებში ცენტრი არ აწარმოებდა/არ იყენებდა სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალს ან ალტერნატიულ ტექნიკურ საშუალებას, რითაც შესაძლებელია თანამშრომელთა სამსახურში პირველი შემოსვლისა და ბოლო გასვლის მონაცემების აღრიცხვა, შესაბამისად, ვერ დასტურდება შინაგანაწესით განსაზღვრული სამსახურში გამოცხადებისა და წასვლის დროის კონტროლის მექანიზმი, რის საფუძველზე შემდგომ ბუღალტრის მიერ ხორციელდება ხელფასის გაანგარიშება/გაცემა. ვინაიდან ცენტრი ვერ უზრუნველყოფს თანამშრომელთა შრომის დისციპლინის ეფექტიან დაცვასა და ყოველდღიური სამუშაო დროის ზუსტ აღრიცხვას/კონტროლს, წარმოიშობა რისკი იმისა, რომ ხელფასების გაანგარიშება/გაცემა ხორციელდება კონტროლის არარსებობის პირობებში. ცენტრის მიერ შრომის დისციპლინის მოწესრიგებისა და ხელფასის გაცემის მეტი სანდოობისათვის, მიზანშეწონილია უზრუნველყოფილ იქნეს თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების კონტროლის დანერგვა/გაძლიერება. ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, იგეგმება ელექტრონული საბარათე დაშვების (ტურნიკეტი) დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებასთან დაკავშირებული პრობლემები

გამოვლენილი გარემოებები

ცენტრმა 2015 წელს ჩაატარა ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც განახორციელა შპს „აუდიტ მრჩეველმა“, თუმცა 2016-2017 წლებში ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ჩატარებულა და არც რაიმე ტიპის შეთანხმება/მიმოწერა (კორესპონდენცია) ყოფილა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

დამფუძნებელთან შესაძლო აუდიტის ჩატარების შესახებ, რაც წარმოშობს ფინანსური ანგარიშგების მომზადების არასაიმედოობის და უზუსტობის რისკებს.

გადავადებულ გადასახადებთან დაკავშირებული პრობლემები

გამოვლენილი გარემოებები

გადასახდელი გადასახადები

2015 წლის ფინანსური ანგარიშგების საგადასახადო ვალდებულების საბალანსე მუხლებზე („3310 – გადასახდელი მოგების გადასახადი“ და „3320 – გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი“) ცენტრს საერთოდ არ უფიქსირდება ნაშთი, ხოლო შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სისტემაში, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ცენტრს უფიქსირდება ზედმეტად გადახდილი გადასახადები ბიუჯეტის მიმართ – 3,379.39 ლარი, რომელიც არ არის ასახული ორგანიზაციის ბალანსზე. ანალოგიურად, 2016 წელს ცენტრის საბალანსე მუხლებზე ჯამში დაფიქსირებული ნაშთია 3,069.00 ლარი, ხოლო შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სისტემაში, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზედმეტად გადახდილი გადასახადები ბიუჯეტის მიმართ არის 23,020.40 ლარი. შესაბამისად, 19,951.40 ლარი არ არის ასახული ორგანიზაციის ბალანსზე, ასევე 2017 წელს საბალანსე მუხლებზე ჯამში დაფიქსირებული ნაშთია 1,603.00 ლარი, ხოლო შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სისტემაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზედმეტად გადახდილი გადასახადები ბიუჯეტის მიმართ არის 15,932.42 ლარი, შესაბამისად, 14,329.42 ლარი არ არის ასახული ორგანიზაციის ბალანსზე. ცენტრის განმარტებით, აღნიშნული სხვაობები გამოწვეულია ბუღალტრის მიერ დაშვებული შეცდომით და შესაბამისად, დაკისრებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულებით, რაც გამოიხატა იმით, რომ უკვე გადახდილი საშემოსავლო გადასახადი არ იქნა დეკლარირებული.

გადავადებული მოგების გადასახადი

2015-2017 წლების ფინანსურ ანგარიშგებაში საბალანსე მუხლზე „4210 – გადავადებული მოგების გადასახადი“ ასახულია 2,673.00 ლარის ვალდებულება, რომელიც ობიექტისაგან მოწოდებული ინფორმაციით, წარმოიშვა 2009 წელს, რის შემდგომ ყოველ წელს გადმოდის ნაშთად ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა ორგანიზაციას საგადასახადო ორგანოში რაიმე სახის გადავადებული გადასახადის გადახდის ვალდებულება არ უფიქსირდება.

შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულების მუხლი წარმოდგენილია არამართებულად – გაზრდილი თანხით.

აუდიტორთა ხელმოწერა:

მიხეილ გოდოლაძე

აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი

(ტელ.: 591 00 56 57; ელ.ფოსტა: mgodoladze@sao.ge)

ეთერ კაცაძე

აუდიტორი

Two handwritten signatures in blue ink are positioned above dashed horizontal lines. The top signature is more complex and stylized, while the bottom signature is simpler and more legible.

